

ანტიკურ საბერძნეთში შეიქმნა მსოფლიო მწერლობის შედეგები. ბერძნულმა ლიტერატურამ განვლო ადმას-ვლებისა და დაქვეითების, ჟანრთა ფორმირებისა და ტრანსფორმაციის მრავალსაუკუნოვანი გზა.

რა სახე მიიღო ოცდაათსაუკუნოვანმა ბერძნულმა ლიტერატურამ თანამედროვე ეპოქაში, განვითარების რა გზას დაადგა ახალი ბერძნული მწერლობა, რა შემოინახა ანტიკურობიდან და რა სიახლეები შესთავაზა მკითხველს - „ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში“ პასუხებს გასცემს ამ და კიდევ მრავალ სხვა შეკითხვას.



პროგრამა ცომოსი



ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი



პროგრამა „ლოზოსი“

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



2024
თბილისი

**ΔΟΚΙΜΙΑ ΓΙΑ ΤΗΝ
ΝΕΟΕΛΛΗΝΙΚΗ ΛΟΓΟΤΕΧΝΙΑ**

**Επιμέλεια: Μήδεια Αμπουλασβίλι, Σοφία Σιαμανίδου,
Άνι Τσικοβάνι**

Δεύτερη, συμπληρωμένη έκδοση

ნარკვევები ახალბერძნულ ლიტერატურაში

რედაქტორები: მედეა აბულაშვილი, სოფიო შამანიდი
ანი ჩიქოვანი

მეორე, შევსებული გამოცემა

წინამდებარე წიგნი გამოიცა კოსტას და ელენი ურანისების ფონდის ხელშეწყობით

Το βιβλίο εκδόθηκε με την συμβολή του Ιδρύματος Κώστα και Ελένης Ουράνη

წიგნი მომზადდა თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციტიკის ინსტიტუტის და საქართველოს ნეოგრეციტიკა ასოციაციის (ევროპის ნეოგრეციტიკა ასოციაციის წევრი) თანამშრომლობით

Το βιβλίο είναι προϊόν συνεργασίας του Ινστιτούτου Κλασικών, Βυζαντινών και Νεοελληνικών Σπουδών του Κ.Π.Τ. και της Γεωργιανής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών (μέλος της Ευρωπαϊκής Εταιρίας Νεοελληνικών Σπουδών)

ყდის დიზაინი: **ქეთევან ცინცაძე**

ეჭვფსკლი: **Κετεβάν Τσιντσάτζε**

დაკაბადონება: **ირინე სტროგანოვა**

ISBN 978-9941-98-57-4-4

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ქავჭავაძის გამზირი 13, თბილისი 0179

ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81

ელ. ფოსტა: logos@greekstudies-tsu.ge

წინამდებარე კრებულის მსგავს გამოცემებს, როგორც წესი, მიძღვნაც აკადემიური ახლავს ხოლმე. ჩვენს შემთხვევაში აკადემიურ წონასწორობას ტკივილმა და მონატრებამ სძლია.

სხვადასხვა თაობის ქართველი ნეოგრეცისტები – მეგობრები, კოლეგები, სტუდენტები – ჩვენი ერთობლივი ნაშრომის ყველა გვერდს, აბზაცს, ხაზს, აზრს, ფიქრს თუ ემოციას

ვუძღვნით **მამა ქაფუშაქის**

– გამორჩეულ ქართველ ნეოელინისტს, რომელსაც ჩვენთან ერთად ბევრი უნდა ეთქვა თავისი საოცარი ენერჯითა თუ ენერგეტიკით, ნიჭითა და ცოდნით, კვლევებითა და ნაშრომებით... ხანმოკლე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით კიდევ უფრო მეტი გვითხრა და გვასწავლა.

წელს 50 წლის გახდებოდა...



სარჩევნი

წინასიტყვაობა.....	9
„დიგენის აკრიტასი“, ელისო ელიზბარაშვილი	12
კრეტული რენესანსი, სოფიო შამანიდი.....	22
ბერძნული ხალხური სიმღერები, მედეა აბულაშვილი	45
ბერძნული განმანათლებლობა, სვეტლანა ბერიკაშვილი, სოფიო შამანიდი.....	59
იანის მაკრიანისი – სახალხო მუზა, თამარ ბაკურაძე.....	72
ბერძნული რომანტიზმი, თეა გამრეკელი, ქეთევან ცინცაძე.....	80
დიონისიოს სოლომოსი, თეა გამრეკელი	95
ყოფითი ჟანრის მოთხრობა, ეკატერინე ლორთქიფანიძე, მედეა აბულაშვილი.....	105
კოსტის პალამასი და 80-იანელთა თაობა, მაკა ქამუშაძე	141
კონსტანტინოს კავაფისი, თეა გამრეკელი.....	156
ანგელოს სიკელიანოსი, სალომე ჯაფარიძე.....	173
ნიკოს კაზანძაკისი, ზურაბ ვაჩეიშვილი.....	185
ნეორომანტიზმისა და ნეოსიმბოლიზმის ათენური სკოლა, მაია კაკაშვილი.....	207
კოსტას კარიოტაკისი, მაია კაკაშვილი, ქეთევან ცინცაძე.....	228
გიორგოს სეფერისი, სოფიო შამანიდი.....	240

1930-იანი წლების პროზა, ანი ჩიქოვანი, მედეა მეტრეველი	250
იანის რიცოსი, ანნა ბერიშვილი, სოფიო შამანიდი	306
ბერძნული სიურეალიზმი, მაკა ქამუშაძე, სოფიო შამანიდი	312
მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ბერძნული პროზა, თეა გაფრინდაშვილი	343
კოსტას ტახცისი, ანინა გოგობია.....	361
მელპო აქსიოტი, თამარ მღებრიშვილი	366
რეა ლალანაკი, სალომე გვენცაძე	373
კოსტას მონტისი, ნანა ტოხვაძე.....	385
თანამედროვე ბერძნული მოთხრობა, ნინო დვალიძე	392
დიმიტრის ნოლასი, ანი ჩიქოვანი	399
1980-1990 წლების ბერძნული პოეზია, ევრიპიდის ლარანტუდისი	415
ქალის ხმა ახალბერძნულ პოეზიაში, მედეა აბულაშვილი.....	424
შესავალი ახალბერძნულ დრამატურგიაში, გეორგია დიმოპულუ.....	438
იაკოვოს კამბანელისი, ქეთევან ცინცაძე, სოფიო შამანიდი.....	447

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში. წიგნის შედგენისას მისმა ავტორებმა ბევრი იფიქრეს, თუ რა ეპოქიდან უნდა დაეწყოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის განხილვა. საქმე ისაა, რომ დღემდე ლიტერატურათმცოდნეობაში არ არის აზრთა ერთიანობა იმაზე, თუ რა ეპოქიდან ემიჯნება ახალი ბერძნული ბიზანტიურ ლიტერატურას და როდიდან იწყებს მისგან დამოუკიდებლად, ავტონომიურად განვითარებას. თუკი ევროპული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებისთვის ცნებას „ახალი“ სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს და იგი გულისხმობს ლიტერატურას, რომელიც XIX საუკუნიდან იწყება და აღწევს XIX საუკუნის მიწურულამდე ან XX საუკუნის დასაბამამდე, ბერძნული ლიტერატურის შემთხვევაში ამ ტერმინს რამდენადმე განსხვავებული დატვირთვა ენიჭება.

ბერძნული ლიტერატურის ისტორია მოიცავს ძალზე დიდ მონაკვეთს ჰომეროსიდან თანამედროვე მწერლობამდე. აქ ტრადიციულად სამ ძირითად ეტაპს გამოჰყოფენ: ანტიკურს, ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულს. თუკი ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურების განსასხვავებლად მეცნიერებს მეტ-ნაკლებად მყარი არგუმენტები გააჩნიათ, რომლებიც ძირითადად იდეოლოგიურ საფუძველს ეფუძნება, ბევრად უფრო რთულად არის საქმე, როდესაც გვინდა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ბიზანტიური ლიტერატურის უკანასკნელი საუკუნეების და ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველი საუკუნეების ძეგლები, კერძოდ კი განვსაზღვროთ, საიდან იწყება ახალი ბერძნული ლიტერატურა. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურის საწყისების მონყვეტა ბიზანტიური ეპოქიდან ყოვლად შეუძლებელია, ხოლო იმის დადგენა, თუ რა უნდა მივიჩნიოთ საკუთრივ ახალი ბერძნული ლიტერატურისათვის დამახასიათებლად და რა – ბიზანტიურისთვის, ერთობ საკამათოა. საკმარისია თვალი გადავავლოთ ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოებს, რომ დავრწმუნდებით, თუ რაოდენ სირთულეს წარმოადგენს ახალი ბერძნული ლიტერატურის პერიოდიზაცია. მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ პირველი ძეგლები ახალი ბერძნული ლიტერატურისა უკვე X-XI საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში დასტურდება. ზოგნი ამ

თარიღს უკავშირებენ ბიზანტიის იმპერიის დაცემის წელს. მკვლევართა მცირე ჯგუფი თვლის, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა, ისე როგორც სხვა ევროპული ლიტერატურები, XIX საუკუნეში, საბერძნეთის მიერ თავისუფლების მოპოვების შემდგომ იწყება.

მკვლევარნი, რომელნიც იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურა უკვე ბიზანტიის ფარგლებში, X-XI საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ამ ლიტერატურის გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად ასახელებენ ლიტერატურაში ახალი ბერძნული ენის დამკვიდრებას, ძველი პროსოდის კანონების უგულვებელყოფას და სილაბურ ლექსზე გადასვლას, გამომსახველობითი ხერხების თავისებურებას, თემატურ განახლებას და ეროვნული, ბერძნული თვითშეგნების წინა პლანზე წამოწევას.

ეს არგუმენტები არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და მკვლევართა ნაწილი ყოველივე ამას მიიჩნევს სრულიად ორგანულ მოვლენად ბიზანტიური ლიტერატურისათვის. თუმცა ჩვენ მაინც ამ მეცნიერთა მოსაზრებას გავითვალისწინებთ და ჩვენ ნარკვევებს იმ ტექსტით დავინწყებთ, რომელსაც ნეოგრეცისტები ახალი ბერძნული ლიტერატურის პირველ ძეგლად მიიჩნევენ – ეპოსს დიგენის აკრიტასზე.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო წიგნის სტრუქტურას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში გამოსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები ხშირად ჟანრების განვითარების პრინციპზეა აგებული, ჩვენ მაინც ტრადიციულ მეთოდს მივანიჭეთ უპირატესობა და სახელმძღვანელოს აგებისას გამოვიყენეთ ქრონოლოგიური პრინციპი. შევეცადეთ სრულად მოგვეცვა ახალი ბერძნული ლიტერატურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მკითხველისთვის ყველა მწერლისა თუ პოეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამ ხარვეზის გამოსწორება შემდეგ გამოცემებში იქნება შესაძლებელი. ყოველ თავს ერთვის სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია და ძირითადი ნაწარმოებების ნუსხა, რომელიც გაუადვილებს სტუდენტებს ამა თუ იმ ავტორზე მასალის მოძიებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. ნარკვევების ავტორები არიან ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლები და კურსდამთავრებულები. ავტორთა ჯგუფი დიდ მადლობას უხდის ევრიპიდის ლა-

რანტუდისს, ათენის უნივერსიტეტის პროფესორს და გეორგია დიმოპულუს, პატრის უნივერსიტეტის მკვლევარს, რომელთაც ასევე მიიღეს მონაწილეობა სახელმძღვანელოს შედგენაში.

სოფიო შამანიდი

ლიტერატურის ისტორიები*:

- პოლიტისი ლ., *ახალი ბერძნული ლიტერატურის მოკლე ისტორია*, ბიბლიოგრაფია, დანართი, ბერძნულიდან თარგმნა სოფიო შამანიდმა, თბილისი, 1999.
- Βαλέτας Γ., *Επίτομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1966;
- Βουτιερίδης Ηλ. Π., *Σύντομη ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας (1000-1930)*, 3η έκδοση με συμπλήρωμα Δ. Γιάκου (1931-1976), Αθήνα, 1976;
- Δημαράς Κ. Θ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας (από τις πρώτες ρίζες ως την εποχή μας)*, Αθήνα, 1975;
- Καλαματιανός Γ.Ν., *Σύντομη ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Βιβλιοπωλείον της Εστίας, Αθήνα, 1980;
- Μητσάκης Κ., *Εισαγωγή στη νέα ελληνική λογοτεχνία: πρωτονεοελληνικοί χρόνοι*, Καρδαμίτσα, Αθήνα, 1989;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Ανάλεκτα νεοελληνικής φιλολογίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1995
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η νεοελληνική σύνθεση. Θέματα και κατευθύνσεις της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1999;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Προοπτικές και προσεγγίσεις. Μελέτες νεοελληνικής φιλολογίας*, Νεφέλη, Αθήνα, 1991;
- Μαστροδημήτρης Π.Δ., *Η παρουσία των κειμένων. Ερμηνευτικές και ιστορικές αναγνώσεις έργων της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Καστανιώτης, Αθήνα, 2002;
- Πολίτης Α., *Εγχειρίδιο του Νεοελληνιστή. Βιβλιογραφίες, λεξικά, εγχειρίδια, κατάλογοι, ευρετήρια, χρονολόγια κ.ά.*, Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης, Ηράκλειο, 2002;
- Πολίτης Λ., *Συνοπτική Ιστορία της νέας ελληνικής λογοτεχνίας*. Βιβλιογραφία, Επίμετρο, Θεσσαλονίκη, 1977;
- Πολίτης Λ., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 1985;
- Τσακόνας Δ., *Επίτομη ιστορία της Νεοελληνικής λογοτεχνίας*, Αθήνα, 1999;
- Beaton R., *Εισαγωγή στη νεότερη ελληνική λογοτεχνία*, μτφρ.: Ε. Ζούργου – Μ. Σπανάκη, Νεφέλη, Αθήνα, 1996;
- Vitti M., *Ιστορία της νεοελληνικής λογοτεχνίας*, Οδυσσεάς, Αθήνα, 1978.

* ბიბლიოგრაფია გადმოტანილია ბერძნული ვებ-გვერდიდან: www.philology.gr.

*სვეტლანა ბერიკაშვილი
სოფიო შამანიდი*

ბერძნული განმანათლებლობა

კრეტაზე ლიტერატურის აღორძინების ეტაპი არსებითად კრეტის დაცემით დასრულდა (1669 წ.), რის შემდეგაც ბერძნული სამყარო მთლიანად თურქეთის ბატონობაში მოექცა. ოტომანთა იმპერიის ფარგლებში აღმოჩენამ ბერძნული სამყაროს იზოლაცია და ცივილიზაციის იმ რეგიონებთან კავშირის განწყვეტა გამოიწვია, რომლებთანაც ბერძნული კულტურა საუკუნეების განმავლობაში ორგანულად იყო დაკავშირებული. ახალ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან სულიერი შეუთავსებლობა გახდა მიზეზი ერთიანი კულტურული ცხოვრების ფაქტობრივი მოშლისა. ოტომანთა ბატონობის ეპოქა კულტურის განვითარების დაქვეითებით აღინიშნა. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ეპოქაში ბერძენთა შორის საოცარი ძალით იწყო ჩამოყალიბება ბერძნულმა თვითშეგნებამ, თავისუფლების მოპოვებისაკენ სწრაფვამ.

ახალი საბერძნეთის კულტურის ისტორიაში განმანათლებლობას ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბერძნულმა განმანათლებლობამ თავის ზენიტს XVIII საუკუნის II ნახევრისათვის მიაღწია და რამდენიმე მიმართულებით გადამწყვეტი გარდატეხა შეიტანა თანამედროვე საბერძნეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში. განმანათლებლობის მოძრაობის დაწყებასთან არის დაკავშირებული განათლების მასშტაბების მკვეთრი ზრდა. თუმცა დატყვევებული ერის განათლებაზე უკვე წინა საუკუნეებში ბერძნული ეკლესია იწყებს ზრუნვას: 1593 წელს, ეკლესიის დიდ სინოდზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება განათლების განვითარების ხელის შეწყობის შესახებ, მაგრამ სწორედ განმანათლებლობის ეპოქაში მოიცვა თურქეთის ბატონობაში მყოფი ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი ბერძნული სკოლების ქსელმა და ცოტა უფრო ადრე დაწყებული პროცესი ელინთა განათლებისაკენ ამკარა შემობრუნებით დასრულდა.

ბერძნული განმანათლებლობა, რასაკვირველია, ევროპული განმანათლებლობის გამოძახილი იყო და მის იდეებს სრულად იზიარებდა, თუმცა მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობდა – ევროპულ განმანათლებლობას წინ აღორძინების ხანა უძღვოდა, ბერძნულს კი – დაქვეითების. შესაბამისად, ბერძენი განმანათლებლები

ევროპელ თანამოაზროვნეებთან შედარებით უფრო რთული პრობლემების წინაშე იდგნენ.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ამ პერიოდში მწვავედ დაისვა და რომელიც მკვლევართ ბერძნული განმანათლებლობის ორმაგ ორიენტაციაზე მსჯელობის საშუალებას აძლევს, არის ბერძენ განმანათლებელთა დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ევროპის, ხოლო მეორე მხრივ, ანტიკურობის მიმართ.

ევროპა თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფი ბერძენი მოაზროვნეებისათვის მომხიბვლელ ძალად იქცა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან დამონებულ ხალხს იგი თავისუფლების სიმბოლოდ ესახებოდა. ევროპის არსი ბერძენი მოაზროვნეების ცნობიერებაში ცოდნისა და განათლების შემოტანას დაუკავშირდა. ბერძენი მოაზროვნეები ევროპის სხვადასხვა ქალაქში მიემგზავრებოდნენ, სადაც ევროპულ განათლებას ღებულობდნენ და შემდგომში მის დანერგვას თავის მშობლიურ ქვეყანაში ცდილობდნენ. ისინი ამაცობდნენ იმით, რომ სამშობლოში ევროპული სიბრძნის გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღოდათ. ასე, მაგალითად, ვასილიოს ვატაცისი აღნიშნავს, რომ მან ბერძენთაგან პირველმა აღმოაჩინა ევროპის სიბრძნე: „პირველმა მე აღმოვაჩინე ის ევროპაში“. ევროპას სხვაგვარად არ მოიხსენიებდნენ თუ არა ბრძენი, განათებული, პოლიტიკურად დიადი. წარჩინებულთა ოჯახებში მიღებული იყო უცხოელი პედაგოგების, განსაკუთრებით ფრანგების აყვანა, რომლებიც ბავშვებს რევოლუციურ იდეებს უნერგავდნენ. ბუქარესტში, ჰეგემონის კარზე, ახალგაზრდა წარჩინებული ბერძენები სადღეგრძელოებს სვამდნენ ფრანგული დემოკრატიის სადიდებლად. ჰეპტანისას კუნძულებზე ფრანგული ზეგავლენის გავრცელებასთან ერთად რევოლუციური გამოსვლები დაიწყო. ჰეპტანისას კუნძულების წარჩინებულთა ბიბლიოთეკები სავსე იყო ფრანგული ლიტერატურით. ამავე პერიოდში განსაკუთრებული ბიძგი მიეცა მთარგმნელობით საქმიანობას. თუ აქამდე აღმოსავლური ეკლესიის ჩაკეტილობისა და დასავლური სამყაროსადმი უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულების გამო, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო თარგმანისა, არც ერთი ევროპული ნაწარმოები არ ითარგმნებოდა და არც დასავლური ენები არ ისწავლებოდა, განმანათლებლობის პერიოდში მთარგმნელობითი საქმიანობა ახალ მასშტაბებს იღებს. ამ პერიოდში გვაქვს მხატვრული ლიტერატურის დიდებული ნაწარმოებების, სერვანტესის „დონ კიხოტის“, მოლიერის კომედიების, ვოლტერის ნაწარმოებების, აგრეთვე ლირიკული, მსუბუქი, ზედაპირული პოეზიის თარგმანები. ამავე პერიოდში იწყება

ისტორიული, გეოგრაფიული, საბუნებისმეტყველო ნაშრომების თარგმნა. ადამანდიოს კორაისი ითხოვს სპეციალური ჟურნალის დაარსებას, რომლის ძირითადი მიზანი დასავლური განათლების მიღწევების გაშუქება იქნებოდა.

მეორე მხრივ, განმანათლებლობასთან არის ასევე დაკავშირებული ინტერესის ზრდა კლასიკური მემკვიდრეობის მიმართ. ამ ეპოქაში საოცარი მასშტაბები მიიღო ძველ ავტორთა ტექსტების გამოცემამ, რომლებიც არა მარტო სასწავლო, არამედ მკითხველთა ფართო წრეში დიდი ელინური წარსულით სიამაყის გრძნობის გამოღვიძების მიზნებს ემსახურებოდნენ. ასე მაგალითად, კორაისის სახელს უკავშირდება მრავალტომეული ბერძნული ბიბლიოთეკის გამოცემა, რომელშიც შეტანილი იქნა ძველი ბერძენი ავტორების ნაწარმოებები წინასიტყვაობებითა და კომენტარებით. XVIII საუკუნეში იწყება გრამატიკების წერა. მათი უდიდესი ნაწილი ძველი ბერძნული ენის სწავლებასა და ანტიკური ძეგლების კვლევებს მოიცავს. ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები განათლებას ძველ ბერძნულ ენაზე ლეზულობდნენ. ეს ყველაფერი იმისათვის ხდებოდა, რომ თანამედროვე ბერძნების აზროვნებაში ანტიკურობისადმი ინტერესს მიეღო საყოველთაო ხასიათი და მათ, ჯერ კიდევ თურქების ბატონობაში მყოფთ, გაეცნობიერებინათ, თუ რა დიდი კულტურის მემკვიდრენი იყვნენ ისინი. სწორედ ამიტომ, ამ ეპოქაში ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის ძირითად სიმალლეებზე მსჯელობისას, უმთავრესი ორიენტირები კლასიკური ეპოქის ავტორები ხდებიან. იყო შემთხვევები, როდესაც ბერძნული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიების გამოცემისას მხოლოდ ძველი ბერძენი ავტორების ჩამოთვლით იფარგლებოდნენ. ამრიგად, განმანათლებლობის ეპოქაში ეს ორი ტენდენცია – დასავლური კულტურის ათვისება და ანტიკური სამყაროსაკენ მობრუნება – ძალზედ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ამ დროს ბერძენთა წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა, იყო ენის საკითხი. მართალია, XVIII საუკუნეში საბოლოო გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაგრამ გამოიკვეთა აზრთა დიამეტრალური დაპირისპირება სალიტერატურო ნორმის შერჩევის თაობაზე. არსებობდა სამი პოზიცია: ა) ბერძნული სალიტერატურო ენა, ისევე, როგორც კლასიკურსა და ბიზანტიურ ეპოქებში, უნდა ყოფილიყო ძველი ბერძნული. ეს საშუალებას მისცემდა განათლებულ ბერძნებს არ გაეწყვიტათ კავშირი თავიანთ დიად წარსულთან ენობრივ დონეზე, შესაბამისად, არ წარმოიქმნებოდა ჰომეროსის,

ესქილეს, სოფოკლეს და სხვათა თარგმნის საჭიროება; ბ) ბერძნებს ორიენტაცია უნდა აეღოთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენდა ამ ეპოქის ბერძენთა რეალურ საკომუნიკაციო ენას და რომელიც არსებითად განსხვავდებოდა ძველი ბერძნულისაგან. ეს ენა არ იყო ჯერ კიდევ მთლიანად ჩამოყალიბებული და არ არსებობდა მისი სისტემური გრამატიკული სახელმძღვანელოები. ამ პოზიციას ზურგს უმაგრებდა ევროპულ განმანათლებელთა დამოკიდებულება ენის საკითხისადმი. როგორც ცნობილია, სწორედ განმანათლებლობის ეპოქაში ევროპის არაერთ ქვეყანაში მოხდა ძველი ენობრივი ნორმების ახლით შეცვლა. ამ პოზიციის მხარდაჭერას ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ მანამდე გამოვლენილ ტენდენციაში, ეთარგმნათ ძველი ბერძენი ავტორები უფრო გასაგებ ბერძნულ ენაზე. მიუხედავად ამ პოზიციის რაციონალური ხასიათისა, მან XVIII საუკუნეში ვერ შეძლო არქაიზაციის მომხრეთა დამარცხება; გ) საკმაოდ აქტიური აღმოჩნდა იმ ბერძენ ინტელექტუალთა მოღვაწეობა, რომელნიც ვარაუდობდნენ, რომ ამ ორ ენობრივ ნორმას შორის არსებული დაპირისპირების მოხსნა მხოლოდ კომპრომისის გზით შეიძლებოდა. თავდაპირველად ეს კომპრომისი ძველი და ახალი ენობრივი ნორმების სინთეზად მოიაზრებოდა და, ბუნებრივია, ამ გზით ენის შექმნა მხოლოდ ბერძენ სწავლულებს შეეძლოთ. ამ ენას კათარევუსა ეწოდა. თუმცა, შემდგომში ეს ენა თანდათანობით სულ უფრო და უფრო მეტად განიცდიდა არქაიზაციას და შორდებოდა ჩვეულებრივ სასაუბრო ენას.

ბერძენი სწავლულები ორ დაპირისპირებულ ბანაკში გაერთიანდნენ: ერთ მხარეს იყვნენ არქაისტები, ნეოფიტოს დუკასის, ათანასიოს პარიოსისა და პანაიოტის კოდრიკასის ხელმძღვანელობით, ხოლო მეორე მხარეს კი დიმოტიკისტები, რომლებიც ძირითადად დიმიტრიოს კატარძისის გარემოცვიდან იყვნენ.

არქაისტებს მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ძველი ბერძნული ენა შეიძლებოდა ყოფილიყო განათლების ენა, რომ ხალხი „მიჩვეულია“ ამ ენას და რომ სასაუბრო ენაში უამრავი უცხო, განსაკუთრებით კი თურქული სიტყვაა. „რაც უფრო მეტად მიუახლოვდება ჩვენი ენა ძველ ბერძნულს, მით უფრო დავემსაგავსებით ჩვენს სახელგანთქმულ წინაპრებს“, წერდნენ ისინი. არქაისტების ერთ-ერთი წარმომადგენელი გრიგორიოს ზალიკისი ფრანგულ-ბერძნული ლექსიკონის პროლოგში აცხადებს: „უნდა დავიცვათ ჩვენი ენა... თუ შევინარჩუნებთ უცვლელად ამ ღვთაებრივ ხმას, ამ წმინდა ცეცხლს, ბერძენთა ერი უკვდავი დარჩება, მაშინ

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჩვენი წინაპრების ნამდვილი შვილები ვართ...“.

დიმოტიკისტების თვალსაჩინო წარმომადგენლისთვის, დიმიტრიოს კატარძისთვის ენა იდეების გავრცელების საშუალება იყო. როგორც ევროპელი ხალხი – ინგლისელები, ფრანგები და სხვანი იყენებენ თავის ეროვნულ ენებს, ასევე ბერძენმა ხალხმაც ისე უნდა წეროს, რომ დაწერილი „მთელმა ერმა შეიგრძნოს და შეისწავლოს“. 1789 წელს ბუქარესტის აკადემიის დირექტორისადმი, ლამბროს ფოტიადისისადმი მიწერილ წერილებში იგი აცალიბებს თავის პოზიციას დიმოტიკის („ბუნებრივი ენის“) შესახებ. თავის მოსაზრებას დ. კატარძისი სისტემატურად იცავს, მაგრამ მოგვიანებით, როგორც ჩანს, კონსერვატიული წრეების ზეგავლენის შედეგად, იგი „შერეული“ ენის მომხრე ხდება.

დიმოტიკის დამცველთა ერთი ნაწილი მეორე უკიდურესობამდე მიდის. ისინი ისტორიული ორთოგრაფიის გაუქმებასა და ცალკეული კილოებისათვის დამახასიათებელი სიტყვების დამკვიდრებას ითხოვენ. ამ მიმართულების მომხრეები იყვნენ ათანასიოს ფსალიდასი, იოანის ვილარასი და გიორგოს კალარასი. 1814 წელს იოანის ვილარასმა გამოსცა წიგნი „ბერძნული ენა“ (Ρομένηκη γλώσσα), სადაც საჯაროდ მოითხოვა ხალხური ენის, დიმოტიკის დამკვიდრება და ისტორიული ორთოგრაფიის გაუქმება. იმავე აზრებს იმეორებს გ. კალარასი თავის ნაშრომში „ჩვენი ენის გრამატიკის ნარკვევი“ (Δοκίμιο γραμματικής της γλώσσας μας). ამ ნაწარმოებების სათაურებიდანაც ჩანს, რომ ავტორები ტრადიციულ ორთოგრაფიას უგულვებელჰყოფენ: საკუთარი სურვილისამებრ ისინი ხან ა-ს მაგივრად ო-ს იყენებენ, η-ს მაგივრად ι-ს, ზოგჯერ კი პირიქით ι-ს მაგივრად η-ს, თუმცა არ გვთავაზობენ ორთოგრაფიის ერთიან სისტემას.

მართალია დიმოტიკი ვერ დამკვიდრდა სკოლებში და განათლების ენად ვერ იქცა, მაგრამ ლიტერატურაში ის მაინც შემოვიდა, ძირითადად, როგორც პოეზიის ენა. დიმოტიკიზე წერენ სოლომოსამდე და კალვოსამდე ბერძნული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლები, ე.წ. გზის გამკვალავები რილას ფერეოსი, ათანასიოს ხრისტოპულოსი და იოანის ვილარასი.

1805 წელს ათანასიოს ხრისტოპულოსმა გამოსცა წიგნი „ეოლიურ-დორიულის ანუ ბერძენთა თანამედროვე ენის გრამატიკა“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ თანამედროვე ბერძნული ენა ძველი ბერძნული ენის ერთ-ერთი დიალექტია (ეოლიური და დორიული დიალექტების ერთგვარი გაგრძელება). მეცნიერული თვალსაზრისით ეს თეორია სრულიად უსაფუძვლო იყო, თვით ხრისტოპულოსმა ის მოგვიანებით უარყო,

თუმცა, თავის დროზე ეს თეორია გამოიყენებოდა, როგორც არგუმენტი ახალი ენის სასარგებლოდ.

1804 წელს ენის პოლემიკაში ადამანდიოს კორაისი ჩაერთო. თავდაპირველად იგი არქაისტების წინააღმდეგ გამოვიდა. იგი წერდა: „ვნერთ არა ათასობით წლის წინ გარდაცვლილ ჩვენი წინაპრებისათვის, არამედ დღევანდელ, თანამედროვე ბერძნებისათვის“. შემგომში მან კომპრომისული გზის ძებნა დაიწყო და ხალხური ენის უცხო ელემენტებისაგან განმეხდნა მოინდომა. უბრალო ხალხურ სიტყვებს იგი ძველ ფორმებს უბრუნებდა და, შესაბამისად, შექმნა ახალი ენა, რომელიც საოცრად დაშორდა ხალხურ მეტყველებას. ადამანდიოს კორაისს ახალი, „სუფთა“, „განმეხდნილი ენის“ კათარევეუსას დამკვიდრებით დიგლოსიის ნეიტრალიზაცია სურდა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ენა უფრო და უფრო არქაიზდებოდა და, შესაბამისად, დიგლოსიის პრობლემა არ მოიხსნა – ერთ მხარეს იყო კათარევეუსა, ხოლო მეორე მხარეს დიმოტიკი. ადამანდიოს კორაისი მთელი ცხოვრების მანძილზე ფანატიკურად იცავდა თავის სისტემას, რის გამოც განიცდიდა მუდმივ კრიტიკას როგორც არქაისტების, ასევე დიმოტიკისტების მხრიდან. მის ენას დაცინვით „კორაკისტიკაც“ კი უწოდეს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ადამანდიოს კორაისი ბერძნული განმანათლებლობის ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება. მან პირველმა დაიწყო ახალბერძნული ენის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების სისტემური შესწავლა. მის კალამს ეკუთვნის კრებული „მოუწესრიგებელი“, რომელშიც თავმოყრილია ლექსიკოგრაფიული მასალა და გამოკვლევები ენის შესახებ.

ენის საკითხთან იყო დაკავშირებული ამ ეპოქის კიდევ ერთი პრობლემა – ნეოლოგიზმების შემოღება და ძველი ბერძნული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობების მინიჭება. XVIII საუკუნეში სხვადასხვა ტერმინები სხვადასხვა ენიდან შემოდიხ. ასე, მაგალითად, ტექნიკური ტერმინოლოგია გერმანული ენიდან, სავაჭრო – იტალიურიდან, ხოლო სულიერი და საზოგადოებრივი – ფრანგულიდან. ეს ტერმინები, ჩვეულებრივ ავტომატურად ჩნდება ენაში, მაგრამ ამის პარალელურად ეპოქის სწავლულები ლექსიკის განახლებას ცდილობენ, რათა ის ეპოქის მოთხოვნილებებს შეუსაბამონ. ამის შესაბამისად ისინი ენის განახლების რამდენიმე მეთოდს გვთავაზობენ. ბერძნული განმანათლებლობის ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნდა, რომ ახალი ბერძნული ლექსიკის გამდიდრება ძველი ბერძნული სიტყვების საშუალებით შეიძლებოდა. ამ აზრს ავითარებდნენ ევგენიოს ვულლარისი, დიმიტრიოს

კატარძისი და სხვ. ადამანდიოს კორაისის აზრით კი ლექსიკის გამდიდრების ერთადერთი წყარო ხალხური ენის კილოები შეიძლებოდა ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ დროს დასავლეთის გავლენით იქმნება ახალი სიტყვები ბერძნული ენის სტრუქტურის შესაბამისად. მაგალითისთვის საკმარისია ორი ტერმინი მოვიყვანოთ: „რჯულშემწყნარებლობა“ („αυξήθησκαία“) 1768 წელს ევგენიოს ვულარისმა და „კულტურა, ცივილიზაცია“ („πολιτισμός“) ფრანგული ტერმინის „civilisation“ შესაბამისად, 1804 წელს ადამანდიოს კორაისმა შემოიღეს. ამასთან ერთად, მეცნიერები ცდილობენ თავი აერიდებინათ საყოველთაოდ მიღებული ზოგიერთი სიტყვის გამოყენებისათვის. ასე მაგალითად, ევგენიოს ვულარისი არ იყენებს სიტყვას „მოდა“ („μόδα“). მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა უკვე დიდი ხანია შემოსულია ბერძნულში იტალიურიდან და განმანათლებლობის ეპოქის მრავალ ნაწარმოებში გვხვდება. 1756 წელს ე. ვულარისი „მოდის“ მნიშვნელობის გადმოსაცემად ამბობს „ქალთა ტანსაცმლის ხშირი სიახლე“. მოგვიანებით, 1818 წელს, როდესაც ეს ტერმინი უკვე სამეცნიერო ენაშიც დამკვიდრდა, ჟურნალში „ლოლიოს ერმის“ კიდევ ერთხელ ვხვდებით ამ სიტყვის მაგივრად მთელი ფრაზის გამოყენებას – „საგნების ახალი ნიმუშები“.

როგორც ვნახეთ, ენის საკითხი საკმაოდ პრობლემატური იყო და აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თუმცა იმ ეპოქისთვის აზრთა სხვადასხვაობა ბუნებრივი და ლოგიკურიც იყო, რადგან განმანათლებლობა ხომ ყველა მიმართულებით ინდივიდუალობის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად და, შესაბამისად, ყველანაირი პრობლემის ინდივიდუალურად გადაჭრას ცდილობდა.

განმანათლებლობის ეპოქისათვის ერთ-ერთ კარდინალურ პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ბერძენი ერის თვითსახელწოდება. ტრადიციამ პოსტბიზანტიურ ეპოქამდე მოიტანა სამი ტერმინი: Ἑλληνας, Γραικός, Ρωμαίος ან Ρωμαίος. ქრისტიანობის გავრცელებამ ბიზანტიური ცივილიზაციის ეპოქაში, როგორც ჩანს, შექმნა იმის პირობები, რომ ამ ტერმინებს რამდენადმე დიფერენცირებული შინაარსი შეეძინათ. შესაბამისად, ტერმინი Ἑλληνας გამოიყენებოდა ანტიკური ეპოქის წარმართი, ხოლო Γραικός, Ρωμαίος ან Ρωμαίος ქრისტიანი ბერძნების აღსანიშნავად. ამან შექმნა ერთგვარი ილუზია, რომ ტერმინი Ἑλληνας დაკავშირებულია წარმართულ სამყაროსთან, ხოლო ქრისტიანი ბერძნების აღსანიშნავად ორგანული არის მხოლოდ Γραικός ან Ρωμαίος. ეს ილუზია, რასაკვირველია, მცდარ საფუძველს ემყარებოდა, რადგან

სინამდვილეში სამივე ეს ტერმინი ისევ და ისევ ანტიკური სამყაროს წინააღმდეგ იყო აღმოცენებული: Ἑλληνας-ის ლათინური ექვივალენტი იყო Graecus, ხოლო რაც შეეხება ტერმინს Ρωμαίος, იგი საერთოდ რომის იმპერიის მკვიდრთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ბუნებრივია, ძველი ისტორიის საკითხებში უკვე საკმაოდ ღრმად ჩახედულ ბერძენ სწავლულებს არ გამორჩებოდათ ეს მხედველობიდან. განმანათლებლობის ეპოქამ დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ორთოდოქს ბერძენებს ისევე ბუნებრივად მიეღოთ თავიანთი ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინად ელინი, როგორც დანარჩენი ორი.

თავიდან განმანათლებლობის ეპოქაში უპირატესობას ტერმინს Γραίκος ანიჭებდნენ. 1768 წელს ევგენიოს ვულღარისი განმარტავს, თუ რატომ ურჩევნია მას ეს ტერმინი: „ლათინელები და ევროპის სხვა ხალხები ჩვენს ერს სხვა სახელით არც კი იცნობენ, თუ არა „გრეკოს“. ჩვენც თარგმანების შესრულებისას ამ ტერმინს ვიყენებთ, გავურბივართ ტერმინს „ელინას“, რათა არ აგვერიოს კერპთაყვანისმცემელში, ხოლო ტერმინს „რომეოს“, რათა არ აგვერიოს რომაელში“. იოანის ვილარასი საბერძნეთს Γραικία-ს უწოდებს, ხოლო ზინოვიოს პოპი წერს ნიგნს „გრეკების ერი“ (Γένος των Γραικών). ევროპელებისთვის საქმის გასაადვილებლად ადამანდიოს კორაისიც Γραίκος-ს აძლევს უპირატესობას, „რადგანაც ასე ჩვენ ევროპის განათებული ერები გვიცნობენ“. თუმცა იგი არ გამორიცხავს ტერმინის Ἑλληνας გამოყენებასაც: „...თუ გირჩევნია „ელინი“ დაირქვი, ჩემო მეგობარო, მაგრამ, ღვთის ნყალობით, არავითარ შემთხვევაში „რომეოსი“... რომაელებმა ჩვენ თავისუფლება წაგვართვეს და მათი სახელის ტარება იგივეა, რაც შუბლზე მათი მონობის კვალი და აღიარება იმისა, რომ მოხარულები ვართ ამ მონობისა“. ამ ფაქტორს ხელი შეუწყო უბრალო, გაუნათლებელი ხალხის სრულიად არაადეკვატურმა წარმოდგენამ მათი წარმართი წინაპრების შესახებ. ხალხის აზრით, ელინები ცხოვრობდნენ ადამზე ადრე, დიდი აღნაგობისა იყვნენ, ერთი მთიდან მეორეზე გადააბიჯებდნენ და ამიტომ ხიდებიც არ იყო საჭირო. ელინები იმხელეები იყვნენ, რომ ჩვეულებრივ ხალხს ჯიბეში ისვამდნენ, და თუკი ისინი ბუზებივით საჭმელში ჩაუვარდებოდათ, მათ შეჭმასაც არ მოერიდებოდნენ. ელინი ქალებიც (მიუხედავად თავიანთი მშვენიერი გარეგნობისა – ისინი, ძირითადად, ქერები, ოქროსკულულებიანები და ცისფერთვალეხანი იყვნენ) არ ჩამოუვარდებოდნენ ელინ კაცებს სიძლიერეში. მათ შეეძლოთ ხუთი ცხვარის და დიდი ქვის ბოძების აწევა. ელინები უკვდავებიც

ყოფილან. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამოწყდნენ, რადგან: ისეთი მიძიმებები იყვნენ, რომ დედამიწამ მათ ველარ გაუძლო, ან ღმერთებმა მათ კოლოები დაასიეს, რომელთა კბენასაც ელინები ვერ იტანდნენ და იხოცებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი Ἑλληνας კერპთაყვანისმცემლის სინონიმად იქცა, განმანათლებლობის ეპოქაში იგი თანდათანობით Γραικός-ის პარალელურად დამკვიდრდა. XVIII საუკუნეში ნავპაკტოსის მიტროპოლიტი იოანის აპოკავკოსი წერილს წერს იპიროსის მბრძანებელს, შემდგომში თესალონიკის მეფეს თეოდოროს ანგელოსს, სადაც თავის თავს როგორც „ელინს და გრეკს“ (Ἑλληνα και Γραικόν) მოიხსენიებს, ხოლო სხვა წერილში იგი მართლმადიდებლობას „ელინურობასა და ელინთა სარწმუნოებას“ უწოდებს (ἐλληνοισμός – ἡ πίστις των Ἑλλήνων). განმანათლებლობის პერიოდში, სკოლების დაარსებაზე ზრუნვისას ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად ბერძნული ენის სწავლება ითვლება. კოზმას ეტოლიელი მოითხოვს, რომ ბავშვებმა ბერძნული ენა ისწავლონ „ვინაიდან ჩვენი ეკლესიაც ელინურ ენაზეა, და ჩვენი ერიც ელინურია“ (ὅτι καὶ ἡ Ἐκκλησία μας εἶναι εἰς τὴν Ἑλληνικὴν καὶ τὸ γένος μας εἶναι Ἑλληνοικόν).

რთულია მკაფიოდ განისაზღვროს ისეთი სახის მოძრაობის, როგორც განმანათლებლობა იყო, დასაწყისი და დასასრული. თუმცა ერთი შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ბერძნულმა განმანათლებლობამ ნიადაგი შეუმზადა 1821 წლის აჯანყებას და, ფაქტობრივად, საბერძნეთის სახელმწიფოს ფორმირებასთან ერთად შეწყვიტა არსებობა. თავისუფალ საბერძნეთში ასპარეზზე ახალი ძალები გამოდიან, რომელთაც ახალი ღირებულებები უნდა დაემკვიდრებინათ ერის ცხოვრებაში.

გზის გამკვალავები. განმანათლებლობის ეპოქასთან დაკავშირებულია სამი დიდი პროექტის რილას ფერეოსის, ათანასიოს ხრისტოპულოსის და იოანის ვილარასის შემოქმედება. მართალია, ისინი უშუალოდ განმანათლებლობის ეპოქას არ მიეკუთვნებიან, მაგრამ ამ ეპოქის ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენენ. მათ გზის გამკვალავებს უწოდებენ.

დიმიტრის კატარძისის წრიდან ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო რილასი. მან უაღრესად დიდი როლი ითამაშა საბერძნეთის თურქი დამპყრობლებისაგან გათავისუფლების საქმეში. ის უფრო

ეროვნული გმირი იყო, ვიდრე ცნობილი ფილოლოგი და ლიტერატორი. მისი ნაწარმოებები დიდი ლიტერატურული ღირებულებით არ გამოირჩევა, მაგრამ იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან ხელს უწყობდა ხალხში საბრძოლო სულისკვეთების გაღვივებას.

რილასის ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული, მის შესახებ უამრავი ლეგენდა ვრცელდებოდა ხალხში, ზუსტი ცნობები კი ნაკლებადაა შემონახული. დღემდე სადავო რჩება მწერლის სახელი და გვარი. თვითონ თავის ნაწარმოებებს იგი ხელს აწერდა როგორც რილასი ველესტინოდან ან რილასი გრამატიკოსი, უკვე აჯანყების შემდგომ პერიოდში მას მიაკუთვნეს სახელი ფერეოსი. თუმცა მისი ნამდვილი სახელი დღემდე უცნობია. ასევე უცნობია ბევრი ფაქტი მისი ცხოვრებიდან, კერძოდ: რა წარმომავლობისა იყო – ბერძენი თუ ვლახი, როდის დაიბადა, სად მიიღო განათლება, რა ქვეყნებში მოგზაურობდა და ცხოვრობდა, სად და როდის მსახურობდა, როგორ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. ცნობილია, რომ იგი დაიბადა თესალიის სოფელ ველესტინოში 1751-1758 ან 1760-1762 წლებში. ახალგაზრდობაში ცხოვრობდა და მუშაობდა კონტანტინოპოლსა და ვლახიაში. 1780 წელს გაემგზავრა ბუქარესტში, ხოლო 1790 წელს ვენაში, სადაც გამოსცა თავისი პირველი წიგნები. ვენაში ყოფნისას იგი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა, ვიდრე ავსტრიის ხელისუფალნი თურქებს გადასცემდნენ მას. 1798 წელს ბელგრადში, თურქეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რილასი სიკვდილით დასაჯეს. რილასი საბერძნეთის გათავისუფლების მაუწყებელი იყო. მის პოლიტიკურ საქმიანობაში ბუნებრივად იყო ჩართული მისი ლიტერატურული შემოქმედებაც.

1790 წელს ვენაში გამოვიდა რილასის პირველი წიგნი „დახვეწილი არშიყების სკოლა“. ეს იყო ფრანგულიდან თარგმნილი მოთხრობების კრებული, რომელიც ექვსი მოთხრობისაგან შედგებოდა. მათ პროტოტიპად რეტიფ დე ლა ბრეტონის მოთხრობები ითვლება. ბერძნული ლიტერატურის ისტორიისათვის ეს ნაწარმოები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს არის პირველი წიგნი ე.წ. თანამედროვე მოთხრობებით. თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ისტორია სწორედ ამ ნაწარმოებით იწყება. ანალოგიური სახისაა 1792 წელს გამოცემული უცნობი ავტორის მოთხრობების კრებული „სიყვარულის შედეგები“. რილასის მეორე ნაშრომია „ფიზიკის ანთოლოგია“. ნაწარმოების ბოლოს მწერალი გვაუწყებს, რომ ამზადებს მონტესკიეს „კანონთა სულის შესახებ“ თარგმანს, თუმცა ხელნაწერი ამ თარგმანისა არ მოიძებნა. ამას მო-

ჰყვება 1797 წელს გამოცემული „ეთიკური სამფეხა“, რომელიც შეიცავს სამი მწერლის – იტალიელი მეტასტასიოსის, გერმანელი გესნერისა და ფრანგი მარმოდელის ნაწარმოებების ლიტერატურულ თარგმანებს: „ოლიმპია“, „პირველი მეზღვაური“, „ლირიკული მოთხრობა“. იგი თარგმნის და გამოსცემს სხვა ნაწარმოებებსაც. მაგრამ მისი მოღვაწეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატურული თარგმანებით. გამოიცა მისი საკუთარი ნაშრომები – ცნობილი რუკები, წიგნი „ახალი პოლიტიკური მმართველობა“, საბრძოლო, რევოლუციური სიმღერები, რომელნიც დიდი პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული, მათ შორის აღსანიშნავია „თურიოსი“ და „პატრიოტული ჰიმნი“.

წმინდა პოეტური თვალსაზრისით რილასის ლექსებს არ ჰქონდა რაიმე ლიტერატურული ღირებულება. მაგრამ იმ ეპოქაში ბერძენ ერს არ სჭირდებოდა მგრძნობიარე, ლირიკული ლექსები. რილასის ლექსები ემსახურებოდა იმას, რაც ესოდენ სჭირდებოდა ბერძენ ერს: თავისუფლების სულისკვეთების გაღვივებას. ამრიგად, რილასი იმ ეპოქის ბერძენთათვის თავისუფლების მაუწყებელი იყო. მან რწმენა ჩაუნერგა დამონებულ ხალხს და იგი საბრძოლოდ დარაზმა.

ამავე წრეებს ეკუთვნოდა კიდევ ორი პოეტი – იოანის ვილარასი და ათანასიოს ხრისტოპულოსი, რომელთაც ახალ ბერძნულ ლიტერატურაში ყოველთვის ერთად განიხილავენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხალხური ენის სიყვარულის გარდა, მათ ცოტა რამ თუ აერთიანებთ. იოანის ვილარასი არის მწერალი, მეცნიერი, მასწავლებელი, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი, ხოლო შემდეგ უკვე სატირიკოსი და ლირიკული პოეტი, ათანასიოს ხრისტოპულოსი კი მეცნიერია, რომელიც ცნობილი გახდა მხოლოდ თავისი „ანაკრეონტიკული“ ლექსების წყალობით. ორივე პოეტი უახლესი ბერძნული სიმღერის განთიადის სიმბოლოდ არის მიჩნეული. მათ სოლომოსის წინამორბედებს, ანუ გზის გამკვალავებს უწოდებენ.

იოანის ვილარასი დაიბადა 1771 წელს კითირაში, ცხოვრობდა იანინაში. განათლება პადოვაში მიიღო, სადაც სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, ამავე დროს დაიწყო ფილოლოგიის შესწავლა, ანტიკური მწერლების კვლევა. 1800 წელს დაბრუნდა იანინაში, სადაც ალი ფაშას კარზე ექიმად მსახურობდა. გარდაიცვალა 52 წლის ასაკში.

პოეზიაში ლირიკული მიმართულება ყველაზე მკაფიოდ ზუსტად იოანის ვილარასმა გამოკვეთა. იგი ჭეშმარიტი ლირიკოსი პოეტი იყო. წერდა ძირითადად ბუკოლიკურ ლექსებს. მისი ლექსების კრებული „ლირიკული“ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამოიცა. იოანის ვილარასი

ხალხურ ენაზე წერდა. ჰეგემონების კარისაგან შორს მცხოვრები ის ყველაზე ახლოს იყო ხალხურ ენასთან, რაც მის პოეზიაშიც კარგად ჩანს. თავის დიდებულ თარგმანში „ბაყაყებისა და თავგების ომი“ იგი კვლავ ააჟღერებს კრეტულ თხუთმეტმარცვლოვან ლექსს. მის კალამს აგრეთვე ეკუთვნის წიგნი „ბერძნული ენა“.

ათანასიოს ხრისტოპულოსი დაიბადა 1772 წელს ქ. კასტორიაში, მაკედონიაში, განათლება ბუქარესტში მიიღო, შემდეგ სწავლა პადოვაში გააგრძელა, სწავლობდა მედიცინასა და იურისპრუდენციას, ამავდროულად ინტერესს იჩენდა ფილოლოგიისადმი. დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა ბუქარესტსა და კონსტანტინოპოლში. ვლახიის ჰეგემონისგან მიიღო „დიდი ლოგოთეტის“ ტიტული, თავიდან შეადგინა ქვეყნის კანონმდებლობა, რომელიც გამოსცა 1818 წელს. 1805 წელს გამოიცა ათანასიოს ხრისტოპულოსის „ეოლიურ-დორიული გრამატიკა“, ხოლო 1811 წელს ლექსების კრებული „ლირიკული“. შემდეგ იწყებს ბერძნულ ლექსიკონზე მუშაობას, რომელიც არ დაუმთავრებია, თარგმნის ანტიკურ ავტორებს, წერს გამოკვლევებს არქეოლოგიურ, ისტორიულ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და იურიდიულ თემებზე. წერს აგრეთვე დრამას ანტიკურ თემაზე „აქილევის“, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ამ დრამას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ბერძნული თეატრის ისტორიისათვის, ათანასიოს ხრისტოპულოსის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომად მისი ლექსების კრებული „ლირიკული“ ითვლება.

ამ პოეტებმა ჭეშმარიტად დაიმსახურეს გზის გამკვალავთა სახელი, რადგან მათ საფუძველი მოუმზადეს ახალი ბერძნული ლიტერატურის შემდგომ განვითარებას.

სამეცნიერო ლიტერატურა:

- Δημαράς Κ.Θ., *Νεοελληνικός Διαφωτισμός*, Ερμής, Αθήνα, 1997;
Κιτρομηλίδης Π.Μ., *Νεοελληνικός Διαφωτισμός. Οι πολιτικές και κοινωνικές ιδέες*, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 2009;
Κονδύλης Π., *Ο Νεοελληνικός Διαφωτισμός. Οι φιλοσοφικές ιδέες*, Θεμέλιο, Αθήνα, 2008;
Μαλαφάντης Κ., *Η παιδαγωγική του Νεοελληνικού Διαφωτισμού*, Πορεία, Αθήνα, 2001;
Μαμούκας Α., *Αδαμάντιος Κοραΐς. Βίος και έργα*, Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης, Αθήνα, 1999;
Πανταζόπουλος Ν., *Μελετήματα για τον Ρήγα Βελεστινλή*, Επιστημονική Εταιρεία Μελέτης Φερών – Βελεστίνου – Ρήγα, Βελεστίνο, 1994;

Ταμπάκη Α., *Περί Νεοελληνικού Διαφωτισμού. Ρεύματα ιδεών και διάλογοι επικοινωνίας με τη δυτική σκέψη*, Ergo, Αθήνα, 2004.

ბანარბოგბი:

Ιωάννης Βηλαράς, Αθανάσιος Χριστόπουλος., *Ανθολογία της νεοελληνικής ποίησης*, ζ', ανθολόγηση Σκάρτσης Σ., 1996;

Κατάρτζης Δ., *Δοκίμια*, επιμέλεια: Δημαράς Κ.Θ., Ειρήνη – NEB, Αθήνα, 1974;

Κοραής Α., *Ο Παπατρέχας*, επιμέλεια Αγγέλου Α., Ερμής, Νέα Ελληνική Βιβλιοθήκη, Αθήνα, 1982;

Κοραής Α., *Προλεγόμενα στους Αρχαίους Έλληνες συγγραφείς και η αυτοβιογραφία του, επιστολή προς Αλεξάνδρου Βασιλείου*, επιμέλεια: Δημαράς Κ.Θ., MET, Αθήνα, 1984;

Μοισιόδαξ Ι., *Απολογία (1780)*, επιμέλεια: Αγγέλου Α., Ειρήνη – NEB, Αθήνα, 1976;

Ο ΡωσοΑγγοΓάλλος, Κριτική έκδοση με επιλεγόμενα του Δημαρά Κ.Θ., Πορεία, Αθήνα, 1990;

Ρήγας Βελεστενλής, *Απάνθισμα κειμένων*, επιλογή κειμένων Κιτρομηλίδη Π.Μ., Βουλή των Ελλήνων, Αθήνα, 1998;

Ρήγας Βελεστενλής, *Τα Ολύμπια*, μετάφραση του λιμπρέπου του Πιέτρο Μεταστασίου, Βιέννη, 1797, φιλολογική επιμέλεια Βάλτερ Πούχνερ, Θεατρική βιβλιοθήκη, Ίδρυμα Κώστα και Ελένης Ουράνη, Αθήνα, 2001;

Χριστόπουλος Α., *Λυρικά*, επιμέλεια Τσαντσάνογλου Ε., Ερμής, Νέα Ελληνική Βιβλιοθήκη, Αθήνα, 1970.